
ანბანი



# ცნობარი „ცოცხალი ანბანი"

შეიქმნა ათასწლეულის სკოლის VI ა და VI ბ კლასის მოსწავლეების მიერ

# DIRECTORY "LIVE ALPHABET"

Created by the students of classes VIa and VIb at Millennium school.

პროექტის კოორდინატორები:

**გვანცა დემეტრაშვილი**
გერმანული ენის მასწავლებელი
6 ბ კლასის დამრიგებელი

**სოფო გიორგაძე**
ინგლისური ენის მასწავლებელი,
6 ა კლასის დამრიგებელი, პროექტების მენეჯერი

პროექტზე მუშაობდნენ:

VI ა კლასის მოსწავლეები:

**ნანო გორდაძე**
**ივა კვირიაშვილი**
**სალომე ლორთქიფანიძე**
**ნიკოლას მელაშვილი**
**ალექსანდრე პოლევონიანი**
**საბა საბაური**
**ბაჩო ურუშაძე**
**დეა ჩარექიშვილი**
**ნინი ხელაია**
**ქეთო ხიზანიშვილი**

VI ბ კლასის მოსწავლეები:

**ელენე აბულაძე**
**დემეტრე ბჟინავა**
**ანამარია კახიშვილი**
**ლიზი ორმოცაძე**
**გიორგი რამიშვილი**
**გიორგი უგრეხელიძე**
**ნიკოლოზ შარაბიძე**
**ნია ჩხაიძე**
**გიორგი ხმალაძე**
**ანნა ფარცვანია**
**გელა კირვალიძე**

სარედაქციო ჯგუფი:

**მაია ლორთქიფანიძე**
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

**ია დოჭვირი**
**ეკა გურგენიძე**
ინგლისური ენის მასწავლებელი

**გურანდა ხაბეიშვილი**
ინგლისური ენის მასწავლებელი

დიზაინი:

**ელენე ჯაყელი**
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი

ძვირფასო მკითხველო, წინამდებარე ცნობარის შექმნის მიზანია მოსწავლეებში საქართველოს ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის უკეთ შეცნობა, გააზრება, შემოქმედებითი და თარგმნის უნარის განვითრება, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი კულტურის ხელშეწყობა.
პროექტი ეძღვენება დედაენის დღეს. მოსწავლეებმა ქართული ანბანის თითოეული ასო დაუკავშირეს მშობლიურ ლიტერატურას, ტრადიციებს, მატერიალურ და არამატერიალურ კულტურის ძეგლებს. ცნობარი საინტერესო იქნება ტურისტებისთვის და დაეხმარება მათ ქვეყნის უკეთ გაცნობაში.

Dear reader, the objective of this directory is to help students comprehend and learn more about the Georgian literature, history and culture. To develop better creative and translation skills, differentiate main and minor information and assist their collaboration culture.
The project is dedicated to the native language day. The students associated each letter from the Georgian alphabet with native literature, traditions, material and incorporeal cultural monuments. The directory will be interesting for tourists and will help them to come to know our country better.

translated by Keto Khizanishvili VIa



## ა - ალილო

ქართული საწესო სიმღერაა, რომელიც შობის წინა ღამეს სრულდება. შეიკრიბება რამდენიმე კაცი, სულ მცირე სამი, რადგან სიმღერა სამხმიანია. ისინი ჩამოუვლიან ყველა ოჯახს და სიმღერით  მიულოცავენ დღესასწაულს.

## Alilo

is a Georgian ritual song,which is performed Christmas previous night.There were several men(at least three,because the son is synonymous), and every family would come down and congratulate the celebration with singing.



## ბ - ბალანჩინი

იგივე გიორგი ბალანჩივაძე, ამერიკაში მოღვაწე ქართველი ბალეტმეის-ტერია. იგი ამერიკის კლასიკური ბალეტის ფუძემდებელია. ბალანჩინი მთელ მსოფლიოში აღიარებულია თანამედროვეობის უდიდეს ქორეოგრაფად.

## Balanchine

real name Giorgi Balanchivadze is Georgian ballet master in America (He is considered to be American classic Ballet's founder).



## გ- -გია ყანჩელი

დაიბადა 1935 წელს. იგი ერთ-ერთი გამორჩეული  ქართველი კომპოზიტორი და არტისტია. მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია ,,ყვითელი ფოთლები’’.

## Gia Kancheli

Georgian composer, distinctive public artist Gia Kancheli was born in 1935. His most famous work is ‘’yellow leaves’’.



## დ - დოღი

ცხენოსნობის ერთ-ერთი სახეობაა. დოღი გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მთაში დოღს მიცვალებულთა ხსოვნის პატივსაცემად მართავენ. გასული საუკუნის 30- იანი წლებიდან ბახმაროში ყოველწლიურად ფერიცვალების დღესასწაულზე, 19 გვისტოს, ტრადიციული დოღი იმართება.

## Doghi

Horse racing, which is one of the most ancient of all sports. Horse racing is spread across different parts of Georgia. In the mountain regions it is organized in honor of dead people. Since the 30s of the last century, a traditional horse racing is celebrated on the 19th of August in Bakhmaro.



## ე - ელარჯი

ელარჯი მეგრული სუფრის სიამაყეა, რომელიც მზადდება სიმინდის ფქვილისა და ყველისგან. სამეგრელოში საპატიო სტუმარს ელარჯით უმასპინძლდებიან.

## Elarji

is the pride of Megrelian people, it is made from corn flour and cheese. In Samegrelo, an honorable guest has a chance to taste it.



## ვ - ვეფხისტყაოსანი

ვეფხისტყაოსანი XII საუკუნის ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი პოემა. ვეფხისტყაოსანი არის მეორე წიგნი, რომელიც დაიბეჭდა ქართულ სტამბაში.

## The Knight in the Panther’s Skin

is a Georgian medieval epic poem, written in the 12th century by Georgia’s national poet Shota Rustaveli. The Knight in the Panther’s Skin is the second book that was printed in the Georgian publishing house.



## ზ - ზეზვა და მზია

ქალაქ დმანისში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს უძველესი ადამიანის სხეულის ნაწილები, რომლებიც 1.8 მილიომი წლით დაათარიღეს. აღდგენილი ნაწილებისგან მიიღეს კაცის და ქალის გამოსახულება. მათ დაარქვეს ზეზვა და მზია.

## Zezva and Mzia

During the archaeological excavations in the city of Dmanisi, the parts of the body of the ancient human were discovered, dated to 1.8 million years. The restored parts of the man and woman's image have been given Georgian names, Zezva and Mzia



## თ - თამარ მეფე

საქართველოს მმართველი 1184 წლიდან. გიორგი III-ის ასული, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი. იგი გახლდათ პირველი ქართველი მეფე ქალი, რომლის მმართველობის პერიოდს ოქროს ხანას უწოდებენ.

## King Tamar

Georgian monarch from the year 1184.George third's daughter, representative of the Royal dynasty of Bagrationi.She was the first women king,whose period of reign was called Golden age of Georgia.



## ი - იყალთოს მონასტერი
VI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, რომელიც ერთ-ერთმა ასურელმა მამამ - ზენონმა დაარსა. მონასტერი მნიშვნელოვან კულტურულ და საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა. ზენონ იყალთოელის წმინდა ნაწილებიც ამავე მონასტერში განისვენებს.

## Ikalto Monastery
VII century Georgian architectural monument, which was founded by one of the Assyrian fathers - Zenon. It was known as one of the most significant cultural-scholastic centres of Georgia, in which Saint Zenon had been buried.



კ - კალანდა
ტრადიციული გურული ახალი წელია. ისინი ამ დღეს 14 იანვარს აღნიშნავენ. დღესასწაულის მთავარი ატრიბუტი ჩიჩილაკია.

Kalanda
New year in Guria is called Kalanda. It is celebrated on the 14thof January. The main attribute is Chichilac.



## ლ - ლოპოტა

ლოპოტას ტბის კურორტი კახეთის ისტორიულ რეგიონში მდებარეობს. კავკასიის მთებით გარშემორტყმული ლოპოტას ხეობა იდეალური ადგილია კომფორტული დასვენებასა და თავგადასავლებს მოყვარულთათვის.

## Lopota

lake resort is located in the historical region of Kakheti. It is surrounded by the Caucasus Mountains and is an ideal place for comfortable holidays and adventures lovers.



## მ - მთაწმინდა

XIX საუკუნის დასაწყისამდე ტყით იყო შემოსილი. პლატოზე გაშენებულია კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც საავტომობილო და საბაგირო გზით უკავშირდება ქალაქს. გაყვანილია ფუნიკულიორი. აქვეა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონი. მთაზე დგას სატელევიზიო ანძა. აღსანიშნავია ატრაქციონებით აღჭურვილი გასართობი პარკიც.

## Mtatsminda

From the beginning of the the XIX century Mtatsminda was forested. The present forest is artificial. Plateau is cultivated in the Park of culture and leisure which is connected to the city by a road and ropeway. There is a Mtatsminda Pantheon of Georgian writers and public figures.On the mountain there is a TV mast. It’s worth mentioning an amusement park here.




## ნ - ნაბეღლავი

საქართველოში უამრავი მინერელური წყლია, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული ნაბეღლავის წყალია, რადგან მას ბევრი სამკურნალო თვისება აქვს. ნაბეღლავს არამხოლოდ სვამენ, არამედ აბაზანებისთვისაც იყენებენ.

## Nabeghlavi

There are lots of mineral water in Georgia, but there is a special mineral water among them, which is called Nabeghlavi, it has unique curative properties. Nabeghlavi is not only used for drinking but it can also be used for bathing.



## ო - ოკუპაცია
რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დაკავებაა. საქართველოს ტერიტორიები, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, რუსეთის მიერ არის ოკუპირებული.

## Occupation
temporary detention of another country by the armed forces of any state.Territories of Georgia,South Ossetia and Abkhazia are occupied by Russia.



## პ - პრომეთეს მღვიმე

პრომეთეს მღვიმე საქართველოს ერთ-ერთი ბუნებრივი საკვირველებათაგანია. მღვიმე მიწის ზედაპირიდან 40 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს და მისი სიგრძე 1,8 კილომეტრს შეადგენს. მღვიმეში 17 დარბაზია, რომლებშიც ულამაზესი სტალაქტიდების, სტალაგმიტების, ასევე გაქვავებული ჩანჩქერებისა და ჩამოკიდებული ქვის ფარდების ნახვა შეიძლება.

## Prometheus Cave

is one of Georgia’s natural beauties. The cave is about 40 meters deep from the surface of the earth and its length is 1,8 km. In the cave there are 17 arches where you can see beautiful stalactites, stalagmites, fossilized waterfalls and hanging stone curtains.



## ჟ - ჟინვალის წყალსაცავი

ჟინვალის წყალსაცავი  მდინარე არაგვზე გაშენებული წყალსაცავია, რომელიც თბილისის მოსახლეობას წყლით ამარაგებს. 1985 წელს ამუშავდა ჟინვალის ჰიდროელექტროსადგური, რომლის მშენებლობისას წყლისქვეშ მოექცა XII საუკუნის ჯვარიპატიოსნის სახელობის  ეკლესია. აღსანიშნავია, რომ ეკლესია წელიწადში 6 თვის მანძილზე წყლითაა დაფარული, ხოლო 6 თვე წყლის ზემოთაა.

## The Zhinvali reservoir

is a water reservoir on the river Aragvi which supplies water to Tbilisi population. In 1985, Zhinvali hydroelectric  Power Plant was built. The 12th century church called- the Cross of Prayer has been under water since 1985. It is noteworthy that the church is covered with water for six months a year and 6 months is above water.The church is free from water only when the water level in Zhinvali water reservoir decreases significantly.



 რ - ,,რაგბი  ჩვენი თამაშია''
ამბობენ ქართველები, რადგან სპორტის ამ სახეობაში  დიდ წარმატებას მივაღწიეთ. ჩვენ ,,ერთა თასი'' 11-ჯერ მოვიგეთ. საქართველოში განსაკუთრებულად აფასებენ ამას.

Rugby is our game
Georgian say as we have achieved great success in this kind of sport. (We have won nations cup eleven times)It's highly appreciated in Georgia.



## ს - სვანეთი

მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. გამოირჩევა ულამაზესი ბუნებით, არქიტექტურით, ისტორიითა და ენით. განსხვავებული სვანური ქუდი მათი ავთენტურობის ერთ-ერთი ნიშანია.

## Svaneti

is located in western Georgia.It is distinguished by its beautiful nature,architecture,history and language.One of their authenticities is their hat,’’Svanetian hat’’.



## ტ - ტენილი ყველი

ტრადიციული მესხური ყველია, რომელიც ურთულესი დამზადების ტექნოლოგიით გამოირჩევა. იგი განსაკუთრებულია გარეგნული სახით, გემოთი, სუნითა და სხვა თვისებებით. ტენილი ყველის დამზადების ტექნოლოგიას 2013 წელს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

## Tenili (Tennis) cheese

is a traditional Meskhetian cheese which is distinguished by the technology of hard manufacturing...

It is significantly different by its appearance,taste, odor and other properties. The technology of making one of the distinctive products of Meskhetian cuisine has been granted status of intangible cultural heritage in 2013.



## უ - ურეკი

საზღვაო კურორტია ოზურგეთში, შავი ზღვის სანაპიროზე. იგი სამკურნალო მაგნეტიტური ქვიშვებით გამოირჩევა, რის გამოც მას ბევრი ტურისტი სტუმრობს.

## Ureki

is the sea resort in Ozurgeti located on the black sea coast.It is distinguished with healing magnetic sand.That’s why it is visited by lots of tourists.



## ფ - ფიროსმანი

დაიბადა 1862 წელს. იგი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩენილი თვითნასწავლი მხატვარია მსოფლიოში. მიუხედავად სიღარიბისა, ის ყოველთვის ხარისხიან საღებავს ყიდულობდა. ფიროსმანი დღემდე ერთადერთი ქართველი ანიმალისტია. რამდენიმე თვის წინ, ქალაქ არლიში მისი და ვან გოგის ნამუშევრები ერთ სივრცეში გამოფინეს.

## Nicko Phirosmani

was born in 1682, he is one of the most outstanding self-taught artist in the world. Regardless of poverty,he always bought quality paints.Phirosmani is still the only one Georgian Animalist.A few months ago his and Van Gogh’s artworks were exhibited in the city of Arles.



## ქ - ქუთაისი

ქუთაისში ძალიან ბევრი კულტულური ძეგლია, რომლებიც ტურისტებს იზიდავს. მათ შორისაა ცნობილი თეთრი ხიდი. ხიდი იყო ქუთაისელების თავშეყრის საყვარელი ადგილი. ხიდიდან გადმოხტომა კი ტრადიცია, რომელიც სიმამაცეს და ვაჟკაცობას უსვამდა ხაზს.

Kutaisi

There are many cultural monuments in Kutaisi that attract tourists. Among them is the famous white bridge. The bridge was a favorite place for gathering. Jumping from the bridge, is a tradition that emphasizes courage and bravery.



ღ - ღვინო

ქართველების და არამარტო მათი  საყვარელი სასმელია. ტრადიციულად, საქართველოში მისი დალევის დროს წარმოთქვამენ სადღეგრძელოს. კახეთში არის ,,ღვინის გზა'', რომლითაც უამრავი ტურისტი სარგებლობს. ქართული ღვინო მსოფლიოში ცნობილია დამზადების უნიკალური ტექნოლოგიით .

Wine

is a favourite drink not only for Georgians.Traditinally the toast is said while having a drink.There is a ''wine road'' in Kakheti used by plenty of students.Georgian wine is known for its unique technology of manufacturing.



## ყ - ყანწი

ყანწი ჯიხვის, ხარის, კამეჩისა და სხვა ცხოველების რქისგან დამზადებული სასმისია. განკუთვნილია ღვინისა და არყისთვის. ყანწს განსხვავებულ სასმისად იყენებენ დღესასწაულებზე.

## Kantsi

Is a traditional Georgian drinking horn, typically made from goat horns, sometimes also from bull horns. Designed for drinking wine and vodka.



## შ - შოთი

შოთი თონეში გამომცხვარი ქართული პურია. ის გარეგნულად ნახევარმთვარეს წააგავს. შესაძლოა, მისი სახელიც მთვარის წარმართულ ღვთაებას უკავშირდებოდეს.

## Shoti

a type of traditional Georgian bread, shaped like a canoe/moon. The origin of its name might be linked to the pagan the god of the moon



## ჩ - ჩოხა

მამაკაცის ტრადიციული სამოსია ძველ საქართველოში . ქართულ წყაროებში გვხვდება IX საუკუნიდან. ჩოხას უწოდებენ როგორც მამაკაცის, ისე ქალის სხვადასხვა მოსაცმელ სამოსელს, ხშირად — საჩოხე შალის ქსოვილსაც. მეგრულად ჩოხას ერქვა ღართი. ის უნიკალური ტანისამოსია.

## Chokha

is men’s traditional clothes in old Georgia. Found in Georgian sources from the IX century. Chokha is referred to as a garment for a man and a woman,often the wicker’s tail is also tissue.Megrelian Chokha was called ‘’Gharti’’.It’s a unique outfit.



## ც - ცოლიკაური

ცოლიკაური ქართული ვაზის ჯიშია, რომელიც უმეტესად იმერეთში მოდის. იმერეთის გარდა იგი გავრცალებულია დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში: აფხაზეთში, გურიაში, სამეგრელოსა და რაჭაში. ცოლიკაური ერთ-ერთ საუკეთსო ღვინოდ არის აღიარებული.

## Tsolikauri

is a Georgian grape variety  grown mainly in Imereti district of Georgia.
. In addition to Imereti it is spread to other parts of western Georgia: Abkhazia, Guria, Samegrelo and Racha. Tsolikauri is recognized as one of the best wines.



## ძ - ძველი თბილისი

აქ თავმოყრილია თბილისის ღირსშესანიშნაობების უმეტესობა და შესაბამისად, ტურისტული მიზიდულობის მთავარი ცენტრია. ძველი თბილისი 2007 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლობის კანდიდატია.

## old Tbilisi

Most of Tbilisi sightseeing in old Tbilisi is the main center of tourist attraction.Old Tbilisi has been UNESCO World Heritage Site since 2007.



წ - წიწამური
ადგილია, სადაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე მოკლეს.

Tsitsamuri
is the place,where one of the greatest Georgian writer and public figure was killed.



## ჭ - ჭიანური

ქართული სიმებიანი საკრავია. გავრცელებულია რაჭაში, ხევსურეთში, სვანეთსა და თუშეთში. მე-20 საუკუნის დასაწყისში გურიაშიც იყო ცნობილი. რაჭული ჭიანური ორსიმიანია, სვანური და თუშური კი- სამიანი.

## Chianuri

Georgian folk stroked instruments.It is spread in Svaneti,Racha Khevsureti and Tusheti. At the beginning of the XX century it was known even in Guria.In Racha Chianuri is a two dimensional,Svan and Tushian-three.



## ხ - ხინკალი

ხინკალი ქართული ისტორიული საჭმელია, რომელსაც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ცხვრის, საქონლის, ღორისა და ბატის ხორცისგან ამზადებენ. ხინკალი ტრადიციული საკვებია მთის მაცხოვრებლებისთვის.

## Khinkali

Georgian historical food. Varieties of khinkali are spread across different parts of the country.  The fillings of khinkali vary with the area, it consists of lamb, beef, pork, or goose meat. Khinkali is a traditional food of mountain residents.



## ჯ - ივანე ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილი - ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, მოგვიანებით კი - რექტორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ივანე ჯავახიშვილის სახელობისაა.

## Ivane Javakhishvili

Georgian historian and public figure, one of the founders of Tbilisi State University, and later - Rector. Tbilisi State University is named after Ivane Javakhishvili.



## ჰ - ჰამლეტ გონაშვილი

ჰამლეტ გონაშვილი - ქართველი ფოლკლორისტი, ანსამბლ „რუსთავის“ სოლისტი. მისი რეპერტუარის გამორჩეული სიმღერებია: „წინწყარო“, „ურმულა“, „ოროველა“. ჰამლეტ გონაშვილი უნიკალური ხმის გამო „საქართველოს ხმადაა“ აღიარებული.

## Hamlet Gonashvili

Georgian folklorist, soloist of Ensemble “Rustavi”. His best songs: “Tsintskaro”, “Urmula”, “Arovela”. Hamlet Gonashvili is referred to as “the voice of Georgia” because of his unique voice

**ტელ: (+995 032) 288 06 08;**

Millennium School - ათასწლეულის სკოლა

საქართველო, თბილისი, ფერმწერთა ქ. № 109 (ლისის ტბა)

**e-mail:info@millennium-school.org;**

**www.millenniumschool.ge**